გამოუყენებელი შესაძლებლობანი

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

ასკ (ოდესა) – "დინამო" (თბილისი) 0:0.

ასკ: კარაკოზოვი, ზახაროვი, მანდენჩუკი, კოლბასიუკი, გრებენიკი, პანოვი, პროსიკოვი, სპირიდონოვი, პრიგორკო, სატაევი, ვარგა (ნემიროვსკი).

"დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, ასათიანი, მაისურაძე.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები – 0:0.

ოდესის არმიელთა გუნდს ერთობ არასახარბიელო ბალანსი ჰქონდა სატურნირო ცხრილში თბილისის "დინამოსთან" მატჩის წინ. ამიტომ გუნდმა ყველაფერი იღონა, რათა თუნდაც 1 ქულა აეღო. ამ მიზანს მასპინძლებმა მიაღწიეს, თუმცა მის განხორციელებაში მათ თავისებური "დახმარება" გაუწიეს დინამოელებმაც, რომელთა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა.

თბილისელებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, მაგრამ მათი თავდამსხმელები რატომღაც ერიდებოდნენ გადამწყვეტ დარტყმას. შესვენების შემდეგ ოდესელები მცირე ხნით ფლობდნენ ინიციატივას. კარგი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა პრიგორკომ. ძალიან ძნელი ბურთი აიღო ვარგასთან ბრძოლაში ურუშაძემ. შემდგომში კი უპირატესობა კვლავ დინამოელებს ჰქონდათ. აშკარა უპირატესობა! დათუნაშვილს, ბარქაიას, ასათიანს შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები უზუსტო იყო და გუნდი დასჯერდა 1 ქულას.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

"ლელო", 4 მაისი, 1966 წ.